საქართველოს პრემიერ-მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 207 2016 წლის 12 ივლისი ქ. თბილისი

ნ. ხადურისთვის „საქართველოს და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის (საქართველოში მყარი ნარჩენების მართვის პროექტი)" სასესხო შეთანხმების ხელმოწერის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა მინისტრს ნოდარ ხადურს მიენიჭოს „საქართველოს და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის (საქართველოში მყარი ნარჩენების მართვის პროექტი)" სასესხო შეთანხმების ხელმოწერის უფლებამოსილება.

გიორგი კვირიკაშვილი